საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED FROM THE OCCUPIED TERRITORIES, LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო
LEPL AGENCY FOR STATE CARE AND ASSISTANCE FOR THE (STATUTORY) VICTIMS OF HUMAN TRAFFICKING

KA030822704444621

საქართველო, თბილისი 0177, მ.თამარაშვილის ქ. N15ა; ტელ/ფაქსი: (+995 32) 239 53 50
15a M.Tamarashvili st. Tbilisi 0177, Georgia; Tel/Fax (+995 32) 239 53 50
www.atipfund.gov.ge

№ 07/2367 **25 / მარტი / 2021 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ თამილა ბარკალაიას

ქალბატონო თამილა,

მოგახსენებთ, რომ საქართველოს კანონი ,,შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ" მე-**19 მუხლის (საქართველოში მშვილებლად დასარეგისტრირებლად მიმართვა და წარსადგენი** დოკუმენტები) მე-2 პუნქტის თანახმად, შვილად აყვანის მსურველმა პირმა მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივ ორგანოს განაცხადთან ერთად უნდა წარუდგინოს ამავე კანონით დოკუმენტები, მათ შორის შვილად აყვანის მსურველი პირის მიერ სავალდებულო მოსამზადებელი კურსის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი – სერტიფიკატი.

აღნიშნული კანონის მე-6 **მუხლის (სააგენტოს უფლებამოსილებანი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის სფეროში) პირველი პუნქტის თ და ი ქვეპუნქტების შესაბამისად,** სააგენტო უფლებამოსილია განახორციელოს შვილად აყვანის მსურველი პირისთვის/მინდობით აღზრდის მსურველი პირისთვის სავალდებულო მოსამზადებელი კურსის ორგანიზება და შვილად აყვანის მსურველი პირის/მინდობით აღზრდის მსურველი პირის სერტიფიცირება სავალდებულო მოსამზადებელი კურსის გავლის საფუძველზე;

2018 წლიდან დღემდე სავალდებულო მოსამზადებელი კურსი/ტრენინგი გაიარა 1455 მშვილებელმა პირმა, თუმცა აღნიშნულ პერიოდში ერთიან რეესტრში აღრიცხულ მშვილებელებს შორის ტრენინგი გასავლელი **აქვს 2906 მშვილებელ პირს, რაც შეადგენს 148 ჯგუფს.**

აქვე გაცნობებთ, რომ მშვილებელთა ერთიან **რეესტრში დარეგისტრირების მსურველ და ასევე, რეესტრში აღრიცხულ მშვილებელ პირთა შორის 224 მათგანს (სულ 11 ჯგუფი) სააგენტოს საკუთარი სახსრების ნაგარიშზე გადახდილი აქვს ტრენინგის მომსახურების საფასური. შესაბამისად, მათი უფლებების დაცვის გათვალისწინებით, დროის უმოკლეს ვადაში, უნდა მოხდეს მათთვის სატრენინგო კურსის ორგანიზება.**

არასამთავრობო ორგანიზაციის „World Vision International" მიერ 2018-2019წწ. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შეთანხმების საფუძველზე მოხდა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ყოფილი და დღეისთვის სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მოქმედი თანამშრომლების **(სულ:20 თანამშრომელი)** შვილად აყვანის მსურველ პირთა მომზადებისთვის ტრენერად გადამზადება.

ვინაიდან ქვეყანაში მოიხსნა დაწესებული შეზღუდვები და შესაძლებელია ტრენინგის ჩატარება სატრენინგო სივრცეში, ტრენინგების შეუფერხებელი პროცესის განხორციელებისთვის საჭიროა, საკუთარი სახსრების ფარგლებში, გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულებები გადამზადებულ ტრენერებთან.

ასევე, გაცნობებთ, რომ სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო დღეის მდგომარეობით ახორციელებს 2 საგრანტო პროექტს, კერძოდ:

1) World Vision საქართველო - "ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის სისტემის გაძლიერების ხელშეწყობა" (N2002; 28.05.2020), - პროექტით გათვალისწინებული მომუშავეთა რაოდენობა შეადგენს 4 ერთეულს, რომლიდანაც **არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად** აყვანილია 2 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი *(პროექტის კოორდინატორი; ადმინისტრაციულ და ფინანსურ საკითხებში პროექტის ასისტენტი)* და იგეგმება 2 შრომითი ხელშეკრულებით მომუშავის აყვანა (ერთიანი საკოორდინაციო საბჭოს მდივანი, საბჭოს მდივნის კონსულტანტი)

2) გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) - „ინტეგრირებული მომსახურება ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისათვის“ (№ 2072; 19.08.2020); პროექტით გათვალისწინებული მომუშავეთა რაოდენობა შეადგენს 16 ერთეულს, რომლიდანაც ***არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად*** აყვანილია 2 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი *(პროექტის კოორდინატორი; ლოჯისტიკის კოორდინატორი)* და შესაბამისად იგეგმება 14 შრომითი ხელშეკრულებით მომუშავის აყვანა, მ.შ. ***არამუდმივი ამოცანის შესასრულებლად*** 2 მომსახურების ცენტრის ხელმძღვანელი, ხოლო ***დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით*** 4 ფსიქოლოგი, 4 სოციალური მუშაკი, 2 ფსიქიატრი და 2 სუპერვაიზორი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჭიროა საქართველოს მთავრობის მთავრობის 2021 წლის 15 იანვრის N13 განკარგულებაში შეტანილ იქნას ცვლილება და დაემატოს:

„გ“ ქვეპუნქტი - არამუდმივი ამოცანების შესრულების მიზნით, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა **საკუთარი სახსრების** ფარგლებში განისაზღვროს არაუმეტეს 20 ერთეულით;

„დ“ ქვეპუნქტი - არამუდმივი ამოცანების შესრულების მიზნით, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა საგრანტო პროექტის - **„ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის სისტემის გაძლიერების ხელშეწყობა”** ფარგლებში განისაზღვროს არაუმეტეს 4 ერთეულით;

„ე“ ქვეპუნქტი - არამუდმივი ამოცანების შესრულების მიზნით, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა საგრანტო პროექტის - **„ინტეგრირებული მომსახურება ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისათვის“** ფარგლებში განისაზღვროს არაუმეტეს 4 ერთეულით;

„ვ“ ქვეპუნქტი - დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა საგრანტო პროექტის - **„ინტეგრირებული მომსახურება ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისათვის“** ფარგლებში განისაზღვროს არაუმეტეს 12 ერთეულით;

პატივისცემით,

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

მერი მაღლაფერიძე